

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“-ს მიერ ელექტროენერგიის იმპორტის შესახებ ინტერესთა გამოხატვის ჩატარებისა და მასში მონაწილეობის წესები

## თავი I

**ელექტროენერგიის იმპორტის განხორციელების შესახებ ინტერესთა გამოხატვის  
გამოცხადების წინაპირობა**

1. ინტერესთა გამოხატვის გამოცხადება ხდება ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ ტექნიკური ოპერატორის - სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ოფიციალური წერილის საფუძველზე, სადაც მითითებული იქნება იმპორტის განხორციელების შესაბამისი საანგარიშო პერიოდ(ები), მოცულობა(ები), იმპორტის შესაძლო მიმართულება(ები), შესაბამისი ელექტროგადამცემი ხაზები და ტექნიკური შეზღუდვები, შესაბამისი მიზეზის მითითებით. აღნიშნული წერილი სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, წარედგინება იმპორტის განხორციელების საანგარიშო თვის დაწყებამდე (რამდენიმე საანგარიშო თვის შემთხვევაში-პირველი საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე).

## თავი II

**ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობის წესები და პირობები**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

1. ინტერესთა გამოხატვას ატარებს სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (შემდგომში „ესკო“) დაინტერესებული პირების მიერ, წინამდებარე წესის მიხედვით, ესკო-სთვის დალუქული კონვერტების წარმოდგენის/გამოგზავნის მეშვეობით ან ესკოს მიერ მითითებულ ელექტრონულ საფოსტო მისამართზე სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის/გამოგზავნის მეშვეობით.

2. ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ არარეზიდენტ, აგრეთვე, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“-ს მიერ იმპორტიორ კვალიფიციურ საწარმოდ დარეგისტრირებულ რეზიდენტ იურიდიულ პირს (შემდგომში „აპლიკანტი“).

3. ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობის გზით, აპლიკანტს ეძლევა შესაძლებლობა, გააკეთოს შეთავაზება ელექტროენერგიის იმპორტის გამოცხადებული მთლიანი მოცულობის თაობაზე, წინამდებარე დოკუმენტის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის ესკო-სათვის წარდგენით. იმპორტის გამოცხადებული მოცულობის მხოლოდ ნაწილზე წარმოდგენილი წინადადება არ განიხილება.

## მუხლი 2. ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობის პირობები

1. შეთავაზება (წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული დოკუმენტაცია) აპლიკანტმა ესკო-ს უნდა წარუდგინოს:

ა) დალუქული კონვერტით, იურიდიულ მისამართზე, საქართველო, ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2, 0114, მე-5 სართული, ოთახი №2, საქმისწარმოების დეპარტამენტი (დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარება დასტურდება ესკოს საქმისწარმოების დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლის ხელმოწერით);

ან

ბ) ელექტრონულ საფოსტო მისამართზე - [bbuturishvili@esco.ge](mailto:bbuturishvili@esco.ge).

2. ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობის მისაღებად აპლიკანტი ვალდებულია:

2.1. ესკო-ს წარუდგინოს ოფიციალური წერილი, ელექტრონული ფოსტის სავალდებულო მითითებით, ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობის თაობაზე და თან დაურთოს ქვემოთ მოცემული დოკუმენტაცია დალუქული კონვერტით (წარმოსადგენი ოფიციალური წერილი, არ უნდა იყოს მოთავსებული დალუქულ კონვერტში) ან აპლიკანტს შეუძლია, ელექტრონულად წარმოადგინოს ზემოთ მითითებული შინაარსის ოფიციალური წერილი და ქვემოთ მოცემული დოკუმენტაცია:

ა) ესკო-ს მიერ დადგენილი ფორმით შევსებული და ხელმოწერილი განაცხადი ელექტროენერგიის იმპორტის თაობაზე. განაცხადში იმპორტის ფასი უნდა მიეთითოს აშშ დოლარში;

ბ) ელექტროენერგიის იმპორტის თაობაზე განაცხადზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ამონაწერი შესაბამისი იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ, გაცემული უფლებამოსილი ორგანოს მიერ;

დ) არარეზიდენტი იურიდიული პირის შემთხვევაში, შესაბამისი ქვეყნ(ებ)ის ტექნიკური ოპერატორ(ებ)ის წერილობითი თანხმობა საქართველოში ელექტროენერგიის მოწოდების თაობაზე აპლიკანტის მიერ შემოთავაზებული პირობების გათვალისწინებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) რეზიდენტი იურიდიული პირის შემთხვევაში, აპლიკანტის მიერ შემოთავაზებული პირობების გათვალისწინებით, იმპორტის ხელშეკრულება ან შესაბამისი ქვეყნის (საიდანაც

იგეგმება ელექტროენერგიის იმპორტი) უფლებამოსილი პირის/კონტრაქტის მიერ დამოწმებული დოკუმენტი იმპორტის განხორციელებასთან დაკავშირებულ განზრახულობათა შესახებ.

3. შეთავაზებების წარდგენის ვადის დასრულების შემდგომ, არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, ესკო განახორციელებს აპლიკანტ(ებ)ის მიერ გაკეთებული შეთავაზებების განხილვას, დალუქული კონვერტების გახსნის გზით ან, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ელექტრონულ ფოსტაზე მიღებული დოკუმენტაციის დამსწრეთათვის გაცნობის გზით. COVID-19-თან დაკავშირებული შეზღუდვების გათვალისწინებით, დოკუმენტაციის განხილვას აპლიკანტ(ებ)ის უფლებამოსილი წარმომადგენლები (თითოეული აპლიკანტიდან მხოლოდ ერთი წარმომადგენელი პირი) დაესწრებიან აპლიკაცია ZOOM-ის ვიდეოჩართვის მეშვეობით. განხილვაზე დასწრების უფლებამოსილება დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი დოკუმენტაციით. ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე აღნიშნულ პირებთან შესაბამისი ბმული გაიგზავნება მათ მიერ დოკუმენტაციასთან წარმოდგენილ წერილში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე.

4. დალუქული კონვერტების გახსნის ან/და ელექტრონულად მიღებული შეთავაზებების განხილვის ზუსტი დრო (დღე, ადგილი და საათი) დაინტერესებულ მხარეებს ეცნობებათ ესკო-ს ვებ-გვერდის მეშვეობით, ასევე შეტყობინების გაგზავნით აპლიკანტ(ებ)ის მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე.

5. გამარჯვებულად გამოცხადდება კომპანია, რომლის მიერ იქნება შემოთავაზებული იმპორტის მინიმალური ფასი.

6. ესკო ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ კომპანიას აცხადებს, შემოთავაზებების განხილვიდან არაუმეტეს 2 (ორი) სამუშაო დღისა. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია განთავსდება ესკო-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე და შეტყობინება გაეგზავნება ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე ყველა აპლიკანტს, აპლიკანტ(ებ)ის მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე.

7. აპლიკანტი, რომელიც ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გამოცხადდება გამარჯვებულად, უფლებამოსილია, გამარჯვებულად გამოცხადებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა გააფორმოს ელექტროენერგიის იმპორტის ან ელექტროენერგიის იმპორტის პირდაპირი ხელშეკრულებ(ები)ა ნებისმიერ კვალიფიციურ საწარმოსთან. აღნიშნული ხელშეკრულებ(ებ)ით გასაყიდი ელექტროენერგიის ფასი არ უნდა აღემატებოდეს აპლიკანტის მიერ გამოკითხვაში დაფიქსირებულ ფასს, ხოლო გასაყიდი ელექტროენერგიის ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გამოკითხვაში შემოთავაზებული მოცულობის 30%-ს.

8. ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გამარჯვებულად გამოცხადებულ აპლიკანტთან, ესკო გააფორმებს ელექტროენერგიის ნასყიდობის შესაბამის ხელშეკრულებას, გამოკითხვაში დაფიქსირებულ ელექტროენერგიის იმპორტის ჯამურ მოცულობაზე ან წინამდებარე წესების მე-7 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში, აპლიკანტის მიერ კვალიფიციურ საწარმო(ებ)ზე რეალიზაციის შემდგომ დარჩენილ მოცულობაზე.

9. იმ შემთხვევაში, თუ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული კომპანიის მიერ ტექნიკური მიზეზების/შეზღუდვების გამო ვერ მოხერხდება ინტერესთა გამოხატვაში დაფიქსირებული მოცულობის სრულად ან ნაწილობრივ მიწოდება, ესკო უფლებამოსილია, მიმართოს ინტერესთა გამოხატვაში შემდგომი საუკეთესო წინადადების წარმომდგენ კომპანიას (რომელსაც აღნიშნულზე გაცხადებული აქვს წინასწარი თანხმობა ამ მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად) განახორციელოს ელექტროენერგიის იმპორტი ინტერესთა გამოხატვაში მის მიერ დაფიქსირებული ფასით.

10. განაცხადის ფორმაში მითითებულია შესაბამისი გრაფა, რომლის მონიშვნით აპლიკანტი აცხადებს მზადყოფნას, რომ იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მიზეზით ვერ გაფორმდება სათანადო ხელშეკრულება გამოკითხვაში გამარჯვებულ კომპანიასთან ან გამარჯვებული კომპანიის მიერ ტექნიკური მიზეზების/შეზღუდვების გამო ვერ მოხერხდება ინტერესთა გამოხატვაში დაფიქსირებული იმპორტი მოცულობის სრულად ან ნაწილობრივ მიწოდება, მომდევნო საუკეთესო წინადადების წარმოდგენის შემთხვევაში, აპლიკანტი მზად არის, გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება და განახორციელოს იმპორტი ინტერესთა გამოხატვაში მის მიერ წარმოდგენილი ფასით.

11. ესკო არ არის პასუხისმგებელი ელექტროენერგიის იმპორტის გრაფიკების დაცვაზე/შესრულებაზე.

12. ესკო, ელექტროენერგიის იმპორტის განხორციელების შესახებ ჩატარებული ინტერესთა გამოხატვის შესახებ ინფორმაციას უგზავნის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“. ასეთი ინფორმაცია უნდა შეიცავდეს ყველა აპლიკანტის მიერ წარმოდგენილ წინადადებას.

13. დამატებითი შეკითხვების თაობაზე შესაძლებელია დაკავშირება ესკო-ს იმპორტ-ექსპორტის დეპარტამენტთან შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:

[bbuturishvili@esco.ge](mailto:bbuturishvili@esco.ge)

14. ოფიციალური განაცხადი ესკო-ში წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ან ინგლისურ ენაზე.

15. წარდგენილი შეთავაზებების/განცხადების წინამდებარე წესებსა და პირობებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, ესკო უფლებამოსილია, არ გაეცნოს მას.